ბრიკის შედგენის საფეხურები.

• **სასწავლო მიზნების განსაზ-
ღვრა და შესაბამისი კონცეპტუა-
ლური ჩარჩოს შექმნა.**

მკაფიოდ უნდა განვსაზღვ-
როთ მიზანი და მოვასხდინოთ იმ
კომპონენტების (კრიტერიუმების)
იდენტიფიცირება, რომელთა
სწავლებასაც ვაპირებთ.

რუბრიკის ტიპის შესაბამისი
კრიტერიუმებისა და ხარისხობრი-
ვი დონეების განსაზღვრა. მოცე-
მულობიდან გამომდინარე უნდა
განვსაზღვროთ, რომელი მიდგო-
მა უფრო მართებული რუბრიკის
შექმნაშია — ანალიტიკური
(თითოეული კრიტერიუმისთვის
წარმოვადგინოთ შესაბამისი შე-
ფასების სკალისა და მიღწევის
დონეების აღწერა), თუ ჰოლის-
ტური (ერთიანად წარმოდგენილი
კრიტერიუმებისთვის შესაბამისი
სკალისა და მიღწევის დონეების
აღწერა).

• **მიღწევის დონეების რაოდე-
ნობის განსაზღვრა და თითოეუ-
ლის შესაბამისად აღწერა.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,
დონეების რაოდენობა დავალბების
სპეციფიკის გათვალისწინებით
უნდა განვსაზღვროთ; აღწერი-
ლობაც სასწავლო მიზნების შესა-
ბამისი უნდა იყოს — ზოგადი ან
უფრო კონკრეტული.

• **რუბრიკის პრაქტიკაში გა-
მოცდა.**

რუბრიკის გამოყენებამდე
მნიშვნელოვანია, ის რამდენიმე
მოსწავლეზე გამოცდადოთ, დააკ-
ვირდეთ, რამდენად მიზნობრივად
და ადევილად გამოსაყენებელია
ის პრაქტიკაში. მოისმინეთ კო-
ლეგებისა და თავად მოსწავლეე-
ბის მოსაზრებებიც.

მანანა გუშუბარიაძე, მე-10 საჯარო სკოლის ინგლისური ენის წამყვანი პედაგოგი.

ნდობა და ძველის მომავალი



შეიძინეს სათანადო სახელმძღვანელოები და ლიტერატურა... ანუ, რაც ათასწლეულობით არა და არ კეთდებოდა, 4 წელიწადში მოგვარდა!

როგორ? ეს ვკითხე მე-17 ბაგა-ბაღის 2014 წელს დანიშნულ დირექტორს, ქალბატონ **ლელა ბაქრაძეს**. ჯერ მომიხივებულადა გაიღიმა, მერე კი ძალზე სერიოზულად, ლაკონურად მოსხიპა, **გენდენ? კეთილი ინებე და ეს ნდობა გაამართლე. მით უფრო, რომ ქვეყნის მომავალი ჩაგაბარესო.**

სად მიჰყავთ მშობლებს შვილები – ბაგა-ბაღში თუ აგარაკზე? 17-ე ბაგა-ბაღის ეზოში შესვლისთანავე ეს აზრი გაგიჩნდებათ. სრულად ძნელი აღსანიშნავია ფიქვანაში ჩაფლული მშვენიერ თვალნი რომ გადაგეშლებათ! სპორტული მოედნები, ატრაქციონები, საზაფხულო სცენა... ისე გემოვნებით, პრაქტიკულადა გაფორმებულ-განლაგებულ, უკეთესს ვერ წარმოიდგენთ. ეზო ფერთა ისეთი შეხამებითაა გაფორმებული, უმაღ დაიჯერებ, რომ ყმანვილების ესთეტიკური აღზრდა, გემოვნების დახვეწა, თუ მოინდომებენ, ეზოდანაცაა შესაძლებელი.

ათწლეულობით გვიჭედავდნენ ტვინში, ისტორიის წარმართვები ძალა მასაო. კი „ფაფხურობდა“ ესა თუ ის პიროვნება, მაგრამ წინსვლის წარმართველი ძალა მასა იყო და

ეგებ, ვინმეს გადამეტებულად მოეჩვენოს ეს პარალელი, მაგრამ, მჯერა, რომ სწორედაც შესატყვისია! იოანე მახარებელმა ერთი წინადადებით გამოხატა უფლის არსი – **ღმერთი სიყვარული არსო**. ქალბატონმა ლელამ ასევე მოკლედ, ამომწურავად ჩამოაყალიბა – **ნდობა და ქვეყნის მომავალი**. ამ მომავლის აღზრდის, უფლის – სიკეთის, სათნოების, მოყვასის სიყვარულის გზაზე დაყენებას მხოლოდ ბავშვების უდიდესი სიყვარულით შეძლება.

ქალბატონმა ლელამ ოთხჯერ „აუნთო ნითელი“ გულგრილობას (რაზეც ჰაინე ამბობდა, ყველა დანაშაული და უზნეობა, სწორედ ჩვენი გულგრილობის შედეგიაო), მცონარობას, უპასუხისმგებლობას, დილეტანტობას, ამპარტავნობას... ოთხი უმაღლესი სასწავლებლის სხვადასხვა



ვებისათვის ისევე უნდა წერო, როგორც – უფროსებისათვის, ოღონდ, უფრო უკეთესად.

ამ გამონათქვამის პერიოდებით, ბავშვებს ისე უნდა მოეპყრო,



როგორც უფროსებს, ოღონდ, უფრო უკეთესად. ყმანვილებში, უპირველესად, შენს ტოლსა და სწორს, პატარა ადამიანს უნდა

ანუშიძეს, ციური ბაღდოშვილს, ლალი გაფრინდაშვილს, ესმა ამორტიას, თამთა დევედარიანს, თინათინ კირკიტაძეს, ქეთევან კალანდაძეს; ფსიქოლოგ მაია წყარუაშვილს, ლოგოპედ სათუნა ახლოურს, მუსიკის პედაგოგს თინათინ შამანიძეს, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორ თამარ ტერუნაშვილს, ექთან მაია გაბიციანაშვილს, საქმის მწარმოებელ მაია გაგრიძეს, მზარეულ ეკატერინე მდივანსა და მის დამხმარეებს: ნინო რუხაძეს და მაია მამნიანაშვილს, დამლაგებლებს: ლელა ძიძიკაშვილსა და ნინო მალასიძეს; მრეცხავ მზევიანარ ნიქარიშვილსა და მუშა პეტრე ახალკაციშვილს.

ბაგა-ბაღი მდინარის დელტასავითაა: ყოველი ნაკადი

საწინდარია.

საფრანგეთში ასეთი ცდა ჩაატარეს: დედა ჩვილს მშობლიურ და უცხო ენებზე უმღეროდა. როცა მშობლიურ „იავნანას“ დაჰსულუნებდა, წოვის სიხშირე გაცილებით იმატებდა. საბჭოთა კავშირში გენეტიკა წლების მანძილზე ხომ ფაშისტურ, ცრუ მეცნიერებად იყო მიჩნეული, მაგრამ მშობლიური, ეროვნული გენეტიკურად კოდირებული ამოუძირკველია! ოღონდ ეგაა, თავიდანვე, პატარაობიდანვე უნდა შეუწყო ხელი მის განვითარებას, სულსა და გულში გაჯდომას. ესეც დიდებულად უწყიან მე-17 ბაგა-ბაღში. იციან, რომ ჯერ შენი უნდა შეიგრძნო, შეიყვარო, გაითავისო და ასე სხვათა კულტურასაც მიაგებ პატივს, მის დაფასებასაც ისწავლი და ასაკის გათვალისწინებით უყრიან საფუძველს ყმანვილების ერისა და ქვეყნისათვის განოსა-



არისო. არადა, ისტორია სწორედ საწინააღმდეგოს გვასწავლის.

კონკრეტული მაგალითი: მე-17 ბაგა-ბაღის მართლაც ხელოვნების ერთგვარ ნიმუშად ქცეული ეზო წლების მანძილზე ოკრო-ბოკრო, ტალახიან-ტლახიანი იყო. ხომ ჰყავდა მაშინაც ამ ბაგა-ბაღს დირექტორები?

ოთხი წლის წინათ კი დაინყო... ეზოზე უკვე ვთქვით. ახლა ეს: ყველა ოთახში დიდიო ახალი იატაკი; ჩატარდა შიდარემონტი; განახლდა დარბაზი და ყველა ოთახი; შეიძინეს სპეციალური მოხერხებული ავეჯი; აშენდა სამრეცხაო და საწყობი; განახლდა სველი წერტილები, სააბაზანო; ყოველი ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებების გათვალისწინებით შეიძინეს სენსორული, კოგნიტური, მოტორული და კრეატიული უნარების განვითარებისთვის საჭირო სათამაშოები; საბავშვო მოთხრობები, ლექსები და ზღაპრები, „სასკოლო მზაობის“ ჯგუფებისათვის შეიქმნა ახალი სივრცეები,

ფაკულტეტი დამთავრა ნითელი დიპლომებით: დედაუნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი (ინგლისური ენის სპეციალობით), ტექნიკური უნივერსიტეტი ტელერეჟისურის სპეციალობით და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფაკულტეტის მაგისტრატურა, თბილისის ბიზნესის აკადემია საბანკო და საფინანსო საქმის მენეჯერის სპეციალობით. სოციალურ მეცნიერებათა დოქტორია.

პლატონის ოთხი სათნოებიდან, რასაც მართლმადიდებლობა იზიარებს, ერთი სიბრძნეა. სიბრძნე მასთან სწავლის ძიებას, ახლის შეცნობისკენ მუდმივ ლტოლვას ნიშნავს. ჰოდა, რამდენი გვეგულება, ვინც ახალგაზრდამ ამდენი ისწავლა, ეძია სიბრძნე?! უმთავრესი: ამ მრავალმხრივ განათლებას ძალზე პრაქტიკულად იყენებს ბაგა-ბაღში. ხოლო როგორც იყენებს, ზემოთ თეზისურად მაინც აღვნიშნეთ.

მაქსიმ გორკი ამბობდა, ბავშ-

ხედავდე, ვისაც ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვს და შესატყვისად მოექცე. ეს ძირისძირამდე აქვს გაცნობიერებული მე-17 ბაგა-ბაღის პედაგოგექტივს – **ალმზრდებლებს: ქეთევან ბენაშვილს, შორენა ბაჯიაშვილს,**



ნინო ჭუმბურიძეს, ნატალია მოლაშვილს, ირინა დოლიძეს, თამილა ქენჭაძეს, ლია ბასოშვილს, თეა ბერბიჭაშვილს, მაია სამსონიას, მაყვალა რუხაძეს, ნინო გვრიტიშვილს, ნათია გელაშვილს; მათს თანაშემწეებს: მარეს ხუბაშვილს, ია ჩიხლაძეს, დონარა

თავის კალაპოტში მიედინება, მაგრამ ერთდება და ძალუმად მიიღტვის საერთო მიზნისკენ.

წარმატებებს ხომ ბაგა-ბაღის ყოველი რგოლის ხარისხიანი, ურთიერთშეთანხმებული, მიზანმიმართული მუშაობა განა-

პირობებს. უწარინად, შემოქმედებითად მუშაობენ კოლექტივთან დირექტორის მოადგილე **ნინო ტომარაძე** და მეთოდისტი **მანანა დადიანიძე**.

პედაგოგექტივი მუდმივ ძიებაშია. განუხრულად იმაღლებენ კვალიფიკაციას; ეძიებენ და ჰპოვებენ პატარებთან მიდგომის, მუშაობის ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, რაც ყველაზე უკეთეს შედეგებს გამოიღებს პატარების ჯანსაღი ფსიქოტიპის ჩამოსაყალიბებლად, რაც, ფსიქოლოგთა მტკიცებით, 6 წლამდე ყალიბდება. ასეთმა შემოქმედებებმა „დაუდგრობამ“ ილიასეული თერგი გამახსენა, რადგან მუდმივი მოძრაობა-ძიება წარმატების უცილობელი

დეგ პიროვნებებად აღზრდა-ჩამოყალიბებას.

ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. ასეთ მოკლე დროში ბაღის მართვაც ზღაპრულად გამართვას, რაც წარმატებული სასწავლო-აღმზრდებლობითი პროცესის საფუძველია, დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ. მონდომებას, ძალისხმევას მერიისა და ბაგა-ბაღების სააგენტოს, უშუალოდ მისი ხელმძღვანელის ბატონ **კახაბერ გვანცელაძის** დიდი ყურადღება და ოპერატიული, ხარისხიანი დახმარება დახვდა და შედეგიც სახეზეა. ქალბატონი ლელა, მთლიანად კოლექტივი ძალზე ემადლიერებინა ბატონ კახაბერს გულისხმიერებისა და მუდმივად გვერდში დგომისათვის.

მე-17 ბაგა-ბაღის შემოქმედებით კოლექტივსა და მის ოთხეზის ნითელდიპლომიან, უნიკალურ დირექტორზე, მერწმუნეთ, კიდევ ბევრი სასიკეთოს თქმა შეიძლება, მაგრამ ეს ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას. მაგრამ უმთავრესი, ვგონებ, გამოიკვეთა: **დირექტორის კრედო – ნდობა და ქვეყნის მომავალი და ამის ხორცშესახებლად მიმართული მთელი კოლექტივის ძალისხმევა.**

კონსტანტინე გურბენიძე



კვლავ და კვლავ – ბავშვების სასიკეთოდ



დიდებული ვოკალისტი, დასტაქარი, სპორტსმენი, არქიტექტორი, პედაგოგი, ინჟინერი, მხატვარი... ვინ დგას მათი მიღ-

რდა, რადგან ერთხელ მრუდელ წასული ნერგის გასწორება ძალზე ძნელია, ხშირად კი – შეუძლებელიც. ამიტომ მიუგო ასე დიდმა პედაგოგმა ვასილ სუხომლინსკიმ ახალგაზრდა მშობლებს კითხვაზე, როდიდან დავიწყოთ სამი წლის შვილის აღზრდა, სამი წლით დაგვიანებით.

ეს კარგად უწყინ თბილისის 85-ე ბაგა-ბაღში. გასიგრძე-განებულ აქვთ, რაოდენ რთუ-

„გაბეშდნენ“, მათი თვალთ შეხედონ სამყაროს. მათი სიხარულითა და ტკივილით იცხოვრონ. აღმზრდელებიც იყვნენ და – მეგობრებიც.

ასე სწამთ და ასე მუშაობენ აღმზრდელები: **ინგა მინდიაშვილი, ნათელა ბიბილაშვილი, ლელა ინაშვილი, ტატიანა ილურიძე, ლილა ბუყანიშვილი, ლალი მუქერია, ირმა სომხიშვილი, ინგა ლაზარევა, ლელა ტყემალაძე,**

ამიტომ პატივს მიაგებენ, აფასებენ ურთიერთის შრომას და მყისვე მზად არიან დახმარების ხელის გასწავდენად. ხოლო, სადაც ასეთი მრწამსია, მიზანი, რაგინდ რთული იყოს, აუცილებლად მიიღწევა.

ასეთი ჯანსაღი, პატარების სასიკეთო გარემოს შექმნა კი, უპირველესად, გამოცდილი დირექტორის, მრწამსითა და მონოდებით პედაგოგის, ქალბატონ **მაგული ლოლაძის** დამსახურებაა. ხომ ცხადია – თუ სათავე სუფთაა, წყაროც ანკარა მოედინება.

ქალბატონმა მაგულიმ ქუთაისის პედაგოგიური ინსტი-



რაც მომავალში მათი ასევე ჰარმონიულ პროფინებებად ჩამოყალიბების მტკიცე საწინდარია.

თუ მოისურვებ, გაიზარებ, გამოსავალი აუცილებლად გამოიხატება: ბალის წინადადებით, მერიის დაფინანსებითა და ბაგა-ბაღების სააგენტოს თანადგომით, სასწავლო კორპუსიდან სამზარეულო ცალკე შენობაში გაიტანეს. ამან, ჰიგიენურ მოსაზრებებთან ერთად, ბალისთვის აუცილებელი სხვა დადებითი შედეგიც გამოიღო:



წვეების მიღმა? ვინ განაპირობა მათი ნიჭის განვითარება? ვინ ჩამოაყალიბა პროფინებებად? შესატყვისი დარგების სპეციალისტთა დღენიადაგ მიზანმიმართულმა, შემოქმედებითმა შრომამ, მაგრამ სად ჩაეყარა საფუძველი წარმატებებს,

ლი და საპატრიოტო მისია აკისრიათ – ძირითადად, ბაგა-ბაღებში (ცხადია, ოჯახებთან თანამშრომლობით) ეყრება საფუძველი პატარების ზნეობას, მორალს, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. საამისოდ კი ყოველი აღსაზრდელის სულსა და გულს

მათი ფალავანდიშვილი; მათი თანამშენებელი: **ციხანა ტეფნაძე, ხათუნა ტეფნაძე, დიანა ტორაძე, ნათია მარკოზაშვილი, ირინე ჭობონელიძე, ნინო ცერცვაძე, ეკატერინე კუკულაძე და ნატო ნოზაძე;** ფსიქოლოგი – **ნინა ხელაძე;** ლოგოპედი – **ციხლა თლოორდავა;** სპეციალური პედაგოგები: **ეთერ მირუაშვილი და ნანა რურუა;** მუსიკის პედაგოგები: **ნანა არეშიძე და სალომე ვაშალომიძე;** ცეკვის მასწავლებელი – **სალომე ელბაძე.**

ბაგა-ბაღი რთული ორგანიზაციაა. წარმატება მისი ყოველი რგოლის ხარისხიანი, ურთიერთშეთანხმებული, მიზანმიმართული მუშაობის ლოგიკური შედეგია. ამიტომაც აუცილებლად გამოსარჩევი და დასაფასებელია სამეურნეო ნაწილის გამგის **ლია გაბუნია**, საქმისმწარმოებლების: **ნათია სიდამონიძისა და ფოთოლა სვანიძის;** მზარეულ **ასმათ ფრუიძის,** მისი დამხმარეების: **თინა მელაძისა და რუსუდან ხატიაშვილის;** დამლაგებლებისა და მრეცხავების: **ნანა დვლიშვილის, მარინე ტურაზიანის, მაკა ნოზაძის, მარინა თოდრიას, თონა შარაშიძის, ქეთევან შაყულაშვილის, ანა ხმალაძის, ეთერ მღებრიშვილის, მაია საგანელიძის;** დარაჯების: **თამაზ კობაშვილის, რამაზ ჩხაიძის;** მუშის – **ლევან ხუციშვილისა** და მეზღვე – **დავით ელბაძის** შრომა. ბავშვთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე **გულიკო ბაკურაძე** დგას.

უნარიანად, შემოქმედებითად მუშაობენ კოლექტივთან მცოდნე და გამოცდილი მუშაკები: დირექტორის მოადგილე – **სოფია ჯაფარიძე** და მეთოდისტი **თამარ დუმბაძე.**

კოლექტივის ყოველ წევრს აქვს გასიგრძეგანებული, რომ მხოლოდ ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობითაა შესაძლებელი საერთო მიზნის მიღწევა.



სად იწყებს მათ ჩამოყალიბება ზნეკეთილ ადამიანებად? იქ, საიდანაც, ეგზიუპერის თქმით, ყოველი ჩვენგანი მოდის – ბავშვობასა და ბავშვობიდან.

სიკვამლე ნერგს ვერ ახარებ, ვერც ეკალი მოისხამს კეთილ ნაყოფს, უსაფუძვლოდ არაფერი ხდება. ამიტომ ბავშვობაა ის ძირთადირი, საიდანაც იღებს საწყისს ყოველი ადამიანის პროფინება და პროფინულობა, მისი გონებრივი, ფიზიკური და ზნეობრივი განვითარება. დიდი სიფრთხილე, ტაქტი, ცოდნა და გამოცდილებაა სჭირო, რომ პატარები სწორ გზაზე დააყენო, სწორად წარმართო მათი სულიერ-ფიზიკურ-მორალური აღზ-

უნდა ჩასწვდე, მაგრამ ჯერ მათი ნდობაა მოსაპოვებელი. მოსაპოვებელია, უპირველესად, პირადი მაგალითით და კოლექტივის ძალისხმევაც აქეთკენაა მიმართული, მაგრამ ეს თვითმიზანი როდია. ასე ვერაფერს მიაღწევ. ეს პედაგოგთა შინაგან მრწამსზე დაფუძნებული ბუნებრივი ქცევაა, რასაც უმალ ატყობენ და თავისებურად, ბავშვური უშუალოდით აფასებენ კიდევ პატარები. ისინი ხომ უმალ გრძობენ, სად სიმართლეა და სად – სიყალბე.

თუ ბავშვებზე არ გარდაიქმნებით, ვერ მიაღწევთ ცათა სასუფეველსო, გვიმოდვრავს უფალი. აღმზრდელები ცდილობენ



ტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და 1980 წლიდან მუშაობს ამ სისტემაში. ჯერ – მეთოდისტად, შემდეგ – 129-ე და 75-ე ბაგა-ბაღების გამგედ. ახლა კი 85-ე ბაგა-ბაღს უდგას სათავეში.



გამოთავისუფლებულ ფართის ხარჯზე, ბაგა-ბაღი გვარიანად გაფართოვდა. იანვარში ესტუმრნენ ქალაქის მერიის მოადგილე, ბატონი **ილია ელოშვილი** და ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი **კახაბერ გვანცელაძე.** ძალზე კმაყოფილები დარჩნენ ნანახითა და პედაგოგიკტივის მუშაობის ხარისხით.

და, ბოლოს, იმაზე, რაც სხვა ბაგა-ბაღებში არ მომისმენია. ქალბატონმა მაგულიმ გამოკვთა პატარების ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების აუცილებლობა. ყოველ ბაგა-ბაღს ბავშვების ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით ალტერნატიული სპორტული დარბაზები უნდა ჰქონდესო.

ვეთანხმებით დირექტორს. საყოველთაო კომპიუტერიზების ხანს, როცა გაცილებით იკლო ყმანვილების ფიზიკურმა აქტივობამ, ეს მართლაც აუცილებელია.

ქალბატონ მაგულის სჯერა, რომ ბაგა-ბაღების სააგენტოს, მერიის მხარდაჭერით, ესეც აუცილებლად მიიღწევა, რაც კვლავ და კვლავ ბავშვების სასიკეთოდ იქნება და 85-ე ბაგა-ბაღის კოლექტივის ძალისხმევით მიზანმიმართულად აღსაზრდელთა კეთილდღეობაა.

ნაირა ნიჟარაძე – ცეროფენებს

ლეილა ვადაჭკორია

ნელს ღორის წელიწადია და სიყვარული გვწადა!



ბარათაშვილის ხმაზე: ნაირას გულმა როგორ გაუძღლოს, ბავშვებისათვის ლექსი არ წეროს, არც ის იქნება კალამი დადოს, ერთი წუთითაც კი დაისვენოს. როგორ? ახალი წელი დადგა – ბავშვების სიხარულს დასასრული არ უჩანს და პოეტს ხმა არ ამოეღო? ნაირას ლექსებს ბაგა-ბალებში, „დედაენის“

ნიგნებში ხომ სწავლობენ, იზეპირებენ, მღერაან.

ჰოდა, აი, ისიც ახალ-ახალი-ცინცხალ-ცინცხალი.

სტუმარ-მასწავლებელი სამშობლო

შემობრძანდით სტუმრებო, – რას მიირთმევთ, რასა? – ფუტკრის ახალ თაფლსა, ბებოს ჩურჩხელასა, – ხაჭაპურიც კარგია, სულსა და გულს არგია, კიდევ გეტყვი სიტყვას, – გოჭის ხორციც მიყვარს.

– მე ვარ პატარა ღრუტუნა და არ ვარ ღორი მკვებარა, მიყვარს ბოსტანი, მინდორი, ჩემი სამშობლო ქვეყანა.

სურვილი

იყოს მშვიდობით, არის სურვილი, ჩემი სამშობლო, ოქროცურვილი.

საყვარელი

ლორმა უთხრა კოდალას: – შე, უსაქმურო, შენაო, – აბა, რა ჩემი ბრალია, შენ თუ არ იცი ფრენაო. – შეგვიჭამა, უყვარს კვახი, მოგვაყენა ზიანი, – ეს ხომ არის ჩვენი ტახი, ლოყებლაჟღაჟიანი.

ტახი

შეიპარა ბოსტანში, მურა უკბენს – ახია, ჭამა უყვარს – წუნკია, ეს ხომ ჩვენი ტახია.

ლორის წელიწადი

– ღორის წელიწადია, – გვითხრა ღიმილთა ბებია, გოჭუნები ბევრი გვყავს, დილით ადრე დგებიან.

მიერთმევენ ერთად

ნითელ-ნითელ ბურთებად ღუის პომიდორი, მიერთმევენ ერთად ქათამი და ღორი

ჩემი სამშობლო

– ეს მსხლის ტოტია, ეს ბლის ღეროა, ჩემი სამშობლო საქართველოა.

ერთმანეთი უყვართ, მუდამ ერთად დადიან, მათი სხვა მეგობარი წინილა და ბატია.

სინანული

ნუ აურევ წყალს ბოჩოლას, ნუ დაუნგრევ ჩიტებს ბუდეს. დრო მოვა და შენს გულშიაც სინანული დაიბუდებს.

ნუ დაუმტვრევ ხეებს ტოტებს, როს პატრონს არ დაიგულბ. სიყვარული თუ დაკარგე, ადვილად ვერ დაიბრუნებ.

ვისი მეგობარია?

ბავშვების მეგობარია, მათი ავ-კარგის გამგები, მშობლებთან ერთად ის არის ცხოვრების ხიდის გამდები.

პატარებს დარდს რომ უქარვეებს სიტბოთი სავეს თვალებით, თან ერთნაირად რომ უყვარს ბეჯითიც, ონავარებიც.

მომავლის რწმენას უწერგავს, ნორჩ გულს იმედით აუვსებს, სირთულეს დააძღვევინებს, მერე ხელს ფრთხილად გაუშვებს.

ხან კი უყვება არაკებს, იგი ცოცხალი წიგნია ბავშვებთან მოლაპარაკე. ამბობს, რომ ბედნიერია,

ვინც სწორად განვლო სავალი, ათი მცნება რომ დაიცვა, აი, რა არის მთავარი.

ჩვენი ქვეყანა გვიყვარდეს, ფიცსა ვდებთ მშობელ მიწაზე, სამშობლო ერთადერთია, ბავშვებო, დედამიწაზე!

უძღვის პატარებს, ანუ წიგნში შესატანი ლექსები

გავრცელებული აზრია: რჩევა-დარიგება არავის სიამოვნებს, მაგრამ გვჯერა პოეტის ქვემოთმოცემული შეგონებანი დიდებსაც მოეწონებათ და პატარებსაც. სწორედ ასეთი ლექსები წაიკითხა ლეილა ვადაჭკორიამ მე-2-მე-3 კლასელებთან შეხვედრაზე.



სწორი არჩევანი

– გადავწყვიტე ბაბუ ჩემი მომავალი, ასტრონომი გავხდები არ გაუვა წყალი.

– გენაცვალოს ბაბუ, ნება შენი არის, ოლონდ გააკეთე სწორი არჩევანი.

სულ გახსოვდეს, შრომას მაშინა აქვს ფასი, როცა კეთილ საქმეს შეუდგება კაცი.

ძია ვანოს საჩუქარი.

ნახე, ბებო, ძია ვანომ კანფეტები მიყიდა. იცი, რა გრძნობა მქონდა, ჯიბეში რომ მიყრიდა?

უნდა გავუნანილო ძამიკოს და დაიკოს, ხომ მასწავლე, თხილის გული ცხრა ძმამ როგორ გაიყო.

კეთილი გიგო

რა დროს ძილია, გიგლო, ნახე, რა თოვლი მოსულა, გინდა ხეები იხილო? დედოფლებივით მორთულან.

თუმცა ხის კენწეროებზე ჩიტები არ ჭიკჭიკებენ, შენს საჩუქრელთან რომ მოფრინდნენ, მეტად აწუხებთ სიცივე.

გიგლომ დედას აკოცა, დედი ფანჯარა გაუღოთ, სანამდე დავაბინავებთ, ყინვამ რომ არ შეანუხოთ.

გიგლომ მალე უპოვა ჩიტუნებს თავშესაფარი, საკენკიც ბევრი დაყარა, ფეტვი თუ ხორბლის მარცვალი.

და ასე იქცა ეს გიგო ეზოში მისაბაძ გიგოდ, სიკეთე გადამდებია, ეს ყველამ უნდა გაიგოს!

ინფორმაცია კარლამენტის კლენარული სხდომიდან

მიხაილ ბატიაშვილი: „გამოცდების გაუქმების გადაწყვეტილება არაერთი ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევას დააფუძნა“

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე ისაუბრა, რომლებიც განათლების რეფორმის შემუშავების პროცესში სამინისტროსთან აქტიურად თანამშრომლობდნენ.

მინისტრის თქმით, გამოცდების გაუქმების გადაწყვეტილება სამინისტრომ მხოლოდ კონსულტაციის შედეგად მიიღო, რომელშიც ჩართულები იყვნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტები და განათლების სფეროს წარმომადგენლები:

„კითხვაზე, თუ რა კვლევებს ეფუძნებოდა ჩამოყალიბებული კონცეფცია, აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმ ორგანიზაციების ნაწილს, რომლებიც კონსულტაციებში იყო ჩართული. მასში ჩართულები იყვნენ „ტრენინგებისა და კონსულტაციების“ ცენტრი, „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“, „სამოქალაქო ურთიერთობებისა და ინიციატივების ცენტრი“, „განათლება ყველასათვის“, სკოლის ადმინისტრაციები, სკოლის მასწავლებლების ასოციაციები. გარდა

ამისა, მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, USAID, ათასწლეულის გამოწვევი კორპორაცია, UNICEF, ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები, ამერიკის მთავრობის, შვეიცარიისა და სხვადასხვა ფონდები, მაიკროსოფტი და ა.შ.

კონსულტაციები გაიმართა ქართულ უნივერსიტეტებთან, მასწავლებლებთან, საბოლოო ჯამში ასეულ ადამიანთან შეხვედრა შედგა იყო სხვადასხვა ფორმატის. მიმაჩნია, რომ ჩვენი ხედვა მაქსიმალურ შედეგზე ორიენტირებული, პოლიტიკისგან შორს მდგომი, განათლების ხარისხის ამაღლებისკენ მიმართული. იგეგმება კომიტეტის გასვლითი სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა მოადგილე და სსიპ-ის ხელმძღვანელი. ჩვენი მიზანია მაქსიმალურად მჭიდრო თანამშრომლობა ყველა ორგანიზაციასთან და მათთან კონსულტაცია. საბოლოო დოკუმენტი, რომლის სამუშაო ვერსია უკვე არსებობს, მალე გახდება სტრატეგიული დოკუმენტი“ - განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.



მიხაილ ბატიაშვილი: „ვეუბარებთ იმ კუთხით, რომ მომავალ წელს გვერდეს უმაღლესი განათლების ახალი მოდელი“

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალ მოდელზე ისაუბრა, რომ არსებული არაეფექტურობა და სამინისტრო მსოფლიო ბანკთან ერთად, ახალ მოდელზე მუშაობს.

„არსებული დაფინანსების მოდელი არაფრისმომცემია და აქტიურად ვმუშაობთ მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან, რომ გადასვლა მოხდეს ახალ მოდელზე, თუ რის მიხედვით მოხდეს უნივერსიტეტების სტიმულირება. ვაუჩერული სისტემა რჩება, ის მიყვება სტუ-

დენტებს პირდაპირ. რაც შეეხება იმ რესურსს, რომელიც მიეძინებოდა უნივერსიტეტში უფასო ფაკულტეტების მიმართულებით, გადანაწილება იმ შეფასებით მაჩვენებლებზე, რომელიც ჩამოყალიბდება, ანუ რის მიხედვით მოხდეს უნივერსიტეტების სტიმულირება. ვმუშაობთ იმ კუთხით, რომ გვერდეს მომავალ წელს ახალი მოდელი, რომელიც უფრო მეტად იქნება მასტიმულირებელი წინანდელთან შედარებით“ - განაცხადა მინისტრმა.

მინისტრის თქმითვე, ამ თემასთან დაკავშირებით, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან ინტენსიური შეხვედრები და კონსულტაციები მიმდინარეობს.

ბავშვები „სიხარული“ სიხარულით მიიჩქარიან



სკოლამდელი აღზრდის დანერგულებებში ბავშვის განვითარებისათვის საჭირო გარემოს შექმნა, მისი შემდგომი წარმატებული და ხარისხიანი განათლების მიღებისა და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების საფუძველია. სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტეს კერძო ბაღ „სიხარულის“ დამფუძნებელმა მუხრან ტაბატაძემ და დირექტორმა ნატო ტაბატაძემ საკუთარი წვლილი შეეტანათ მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

ნატო ტაბატაძე ს.ს. ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. მუშაობდა კერძო სკოლაში პედაგოგად, სასწავლო ნაწილის გამგედ. 13 წლის მანძილზე, კერძო სტრუქტურაში მიღებული დიდი გამოცდილებით, გადაწყვიტა თავად შეექმნა რაღაც ახალი და კარგი. გვერდით საკუთარი ბიძა დაუდგა, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და ამ სფეროს ხარისხიანი, მრავალმხრივი განვითარების ხელშესაწყობად, დიდი სურვილი ჰქონდა რაღაც ნაბიჯი გადაეღათ.

ნატო ტაბატაძე: „ბავშვების



რაოდენობა ჯგუფებში საკმაოდ არაკომფორტული და დიდი პრობლემაა სახელმწიფო ბაგაბაღებისთვის. დაიბადა იდეა სკოლამდელი დანერგულების შექმნისა. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა სწავლა-განათლება-

ში ჩაგვედო რესურსი, სახელიც ერთად მოვიფიქრეთ და გადაწყვიტეთ ჯგუფებში 12-15 ბავშვს 2 აღმზრდელი და ძიძა მომსახურებოდა, რაც საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. გავითვალისწინეთ საგანმანათლებლო პროგრამა, ჩავსვით შესაბამისი მეცადინეობები, პატარ-პატარა გაკვეთილები, რომლებიც მცირეკონტინგენტთან ჯგუფებში ადვილად მისაღწევია, რასაც ვერ ვიტყვი ჯგუფებზე, სადაც 30-40 ბავშვია.“

უკვე მე-4 წელია თბილისში, ახმეტელის მეტროსთან, ახალი, კომფორტული, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოე-



ბით მორთულ, განკრიალებულ შენობაში, ყველა ჯგუფში საკუთარი საძინებელითა და სველი წერტილით, დილის 9-ის ნახევრიდან საღამოს 7 საათამდე, პატარებისათვის სწავლებისა და აღზრდის საუკეთესო პირობები, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოა შექმნილი.

შრომაც მალე დაუფასდა, კონტინგენტი თანდათან გაიზარდა და ამჟამად ბაღში 4 ასაკობრივ ჯგუფში 60 ბავშვია. პროფესიონალი აღმზრდელ-პედაგოგები: **ფატი ცუცქერიძე** და **ანჟელა მოსიაშვილი** (უფროსი ჯგუფი); **საშუალო ჯგუფი** — **მაკა მუმლაძე** (პედაგოგი), **მერი ჭანკოტაძე** (პედაგოგის თანაშემწე); უმცროსი ჯგუფი — **მარინა კიკვაძე** (პედაგოგი), **ნინო ხიზანიშვილი** (პედაგოგის თანაშემწე); ბაგა — პედაგოგები: **მანანა ბარბაქაძე** და **ნანა ახვლედიანი**;

ასევე, მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები — **ეკატერინე ბაგალიშვილი** და **ეკატერინე შუბითიძე** — გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის, პატარებს შესაბამის უნარ-ჩვევებს უვითარებენ.

დირექტორი ყოველდღიურად ფიქრობს, რა შესაფერის მშობლებს ახალი, სასიკეთო, საინტერესო. აცნობს, რით არიან დაკავებული მათი შვილები დღის მანძილზე. ყოველი პროგრამის გავლის შემდეგ, აქვთ შემაჯამებელი გაკვეთილები. შენობაში არის საკმაოდ დიდი სივრცე, სადაც პატარები ყოველდღეს დილის გამამხნეებელი ვარჯიშით, აერობიკით იწყებენ. აქვე ტარდება საშემოდგომო,

საახალწლო თუ სხვა წარმოდგენები. მონაწილეობას იღებენ გასვლით ღონისძიებებში, წარმოაჩინეს თავიანთი ნიჭი ცეკვასა და სიმღერაში არტ ჰოლში, ხორავას სახელობის თეატრში და სივრცეებშიც დაჯილდოვდნენ.

სასკოლო მზაობის ჯგუფში წარმატებით ხორციელდება სასწავლო-სააღმზრდელი პროგრამა ბაგა-ბაღებისთვის, სადაც აღსაზრდელეები ეცნობიან სხვადასხვა კატეგორიებს, მაგალითად: გეომეტრიული ფიგურები, გზები და მაგისტრალეები, შეგრძნებები — თვალი და მხედველობა, ცხვირი და ყნოსვა, ყური და სმენა, პირი და გემო, კანი და შეხება. ტარდება ღია გაკვეთილები. ყოველივე ეს პატარებს უვითარებს უნარ-ჩვევებს და ამზადებს ცხოვრებისათვის.

ბალის პედაგოგები ეტაპობრივად გადიან ტრენინგებზე, გადაეზადნენ სხვადასხვა მიმართულებით, **(ლოგოპედიური,**

ფსიქოლოგიური და სხვა.) ეცნობიან სიახლეებს, იგებენ ახალ ინფორმაციებს. ჩართულები არიან სახელმწიფო პროგრამაში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის, მოდიან ფსიქოლოგები, ატარებენ გაკვეთილებს. სასკოლო მზაობის ჯგუფის პედაგოგი **ფატი ცუცქერიძე** ლოგოპედიურ ბაგა-ბაღში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილებით არის და გაიარა ლოგოპედიური ტრენინგი — **ენისა და მეტყველების თერაპია**. კვირაში ერთხელ ბალის ექიმი ახდენს ბავშვთა შემოწმება-დათვალეირებას.

დირექციისთვის, აბსოლუტურად მისაღებია, სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ დამტკიცებული მენიუ, სადაც დამატებული აქვთ რიგი საკვები პროდუქტები და მზარეული



დადებული სადიზონფექციო სამსახურთან და ყველაფერი შესაბამისად მუშავდება.

ბალის ცხოვრებაში დიდად მშობელთა ჩართულობა. შესასვლელში გამოკრულია მშობელთა კუთხე, მეცადინეობის განრიგი, ჯგუფის წესდება, მენიუ — საიდანაც მშობელი ამომწურავ ინფორმაციას იღებს შვილის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ.

„მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნისათვის, ჩვენი მიზანი იყო ჯგუფებში ბავშვთა მცირე რაოდენობა და პროფესიონალი პედაგოგები. მომავალში, სურვილი გვაქვს, გავხსნათ კერძო სკოლა, სადაც ჩვენივე გამოზრდილი ბავშვების სწავლა-განათლებაზეც ვიზრუნებთ“ — ამბობს **ნატო ტაბატაძე**. თუ მშობელი ერთხელ



იზოლდა ხვედელიძე უგემრიელესი კერძებით უმასპინძლებს პატარებს. სურსათის სააგენტოს მიერ რეგულარულად ტარდება მონიტორინგი. ბალის სისუფთავეზე ზრუნავენ — **ნატალია გოქსაძე** და **ნინო ზურიკაშვილი**. ხელმეკრულება აქვთ

მინც გაესაუბრება ამ ახალგაზრდა, შემართებით სავსე ქალბატონს, მიხვდება, რომ მისი შვილის მომავალი საიმედო ხელში იქნება.

ნათია გურგენიძე

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

რედაქტორია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეზონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული მომსახურება) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N2 (4577)
13 თებერვალი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113
9 771987 911009